ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

ა(ა)იპ ,,ეთერ კიკნაძის სახელობის

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“

<u>ანგარიში</u>

2025 წლიდან - დღემდე

მომხსენებელი:

ა(ა)იპ ,,ეთერ კიკნაძის სახელობის

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“

დირექტორი თამარ ლაცაბიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში“ 21 საბავშვო ბაღი და სკოლისათვის მზაობის 6 (ექვსი) ჯგუფია:

1. დაბის N1 საბავშვო ბაღი;
2. დაბის N2 საბავშვო ბაღი;
3. სოფელ ხევის საბავშვო ბაღი;
4. სოფელ ხუნევის საბავშვო ბაღი;
5. სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღი;
6. სოფელ გედსამანიის საბავშვო ბაღი;
7. სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღი;
8. სოფელ ბორითის საბავშვო ბაღი;
9. სოფელ ღორეშის საბავშვო ბაღი;
10. სოფელ სარგვეშის საბავშვო ბაღი;
11. სოფელ კიცხის N1 საბავშვო ბაღი;
12. სოფელ ვარძიის საბავშვო ბაღი;
13. სოფელ წყალაფორეთის საბავშვო ბაღი;
14. სოფელ ხიდრის საბავშვო ბაღი;
15. სოფელ საღანძილის საბავშვო ბაღი;
16. სოფელ ლეღვნის საბავშვო ბაღი;
17. სოფელ ვახანის საბავშვო ბაღი;
18. სოფელ მოლითის საბავშვო ბაღი;
19. სოფელ წიფას საბავშვო ბაღი;
20. სოფელ ზვარის საბავშვო ბაღი;
21. სოფელ კიცხის N2 საბავშვო ბაღი - (2025 წლის იანვრიდან სოფელ ბორის საბავშვო ბაღმა, რომელიც მდებარეობდა ბორის სკოლა-პანსიონის ბაზაზე, ფუნქციონირება განაგრძო სოფელ კიცხში ახლად აშენებულ საბავშვო ბაღის შენობაში).

სასკოლო მზაობის ჯგუფები ფუნქციონირებს:

1. დაბა ხარაგაულში;
2. სოფელ ხევში;
3. სოფელ ვაშლევში;
4. სოფელ ბორითში;
5. სოფელ უბისაში;
6. სოფელ ბორში.

აღნიშნულიდან, 2025-2026 სასწავლო საღმზრდელო წელს სასკოლო მზაობის ჯგუფები ფუნქციონირებს:

1. დაბა ხარაგაულში;
2. სოფელ ბორითში;
3. სოფელ უბისაში.

სოფელ ხევის საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს, კონსოლიდირებული ტენდერით, საჭირო ინვენტარის შეძენა. სოფელ ზვარის საბავშვო ბაღი კი ისევ განთავსებულია სოფელ ზვარის საჯარო სკოლის შენობაში, სკოლისათვის მზაობის ჯგუფის სახით, სადაც არიან შერეული ასაკის აღსაზრდელები.

ავტორიზაცია

საქართველოს კანონის შესაბამისად, ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ," 2029 წლის ჩათვლით უნდა განხორციელდეს საჯარო და კერძო ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაცია. აღნიშნული პროცესის კოორდინირება დაევალა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2023 წელს დაწესებულებებმა განახორციელეს დიაგნოსტიკური თვითშეფასება, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზეც შემუშავდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ავტორიზაციის გავლის განრიგი. განრიგის საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სახით მოქმედი იურიდიული პირების ავტორიზაციის გავლის ადმინისტრაციული წარმოებების 2025 წლის წლიური გეგმა."

გეგმის მიხედვით, 2025 წელს, განრიგის მიხედვით, ავტორიზაციის განაცხადი წარვადგინეთ ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" 3 (სამ) საბავშვო ბაღზე (ვერტყვიჭალა, საღანძილე, ნადაბური).

შესაბამისად, გაერთიანებაში შექმნილია ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია გაერთიანების ადმინისტრაციის წარმომადგენლებითა და საბავშვო ბაღის გამგეებით. ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების, სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის სავალდებულო დანართების სახით წარსადგენი დოკუმენტების, **მარეგულირებელი წესების შემუშავება, რომელსაც ამტკიცებს გაერთიანების დირექტორი:**

1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმა;
2. კურიკულუმის შემუშავება/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტი;
3. ოჯახთან/თემთან საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი;
4. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
5. ბავშვის ჩარიცხვა/ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
6. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
7. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი;
8. კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი;

9. სანიტარულ/ ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი.
10. პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა;
11. ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) მექანიზმები;
12. პირველადი დახმარების აღმოჩენის წერი.

2025 წლის ოქტომბერში, ვმასპინძლობდით ექსპერტთა ჯგუფს,

კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი პატარების მომავლისთვის!

მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ 2026 წლის 12 თებერვალს ხარაგაულის ბაღების გაერთიანების სამმა ფილიალმა, წარმატებით დააკმაყოფილა ავტორიზაციის სტანდარტები!

1. საღანძილის საბავშვო ბაღი;
2. ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღი;
3. ნადაბურის საბავშვო ბაღი.

ავტორიზაციის პროცესი ადასტურებს, რომ ჩვენს საბავშვო ბაღებში დაცულია ყველა თანამედროვე სტანდარტი:

1. უსაფრთხო და კეთილმოწყობილი გარემო;
2. ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები;
3. ბავშვზე ორიენტირებული მიდგომები.

მადლობას ვუხდით თითოეული ბაღის პერსონალს თავდაუზოგავი შრომისთვის და მშობლებს — ნდობისთვის. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს საუკეთესო პირობები განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი საბჭოს წევრებმა, ზემოხსენებელი საბავშვო ბაღებისათვის ავტორიზაციის მინიჭების გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღეს. საბავშვო ბაღებს ავტორიზაცია 6 წლის ვადით მიენიჭათ, მონიტორინგს კი 2027 წელს გაივლიან.

კურიკულუმი

ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღში, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, ახალი თამაში „კურიკულუმის“ მიხედვით მიმდინარეობს. აღნიშნული სახელმძღვანელოს ორივე ნაწილი და სასკოლო მზაობის პროგრამა, ყველა აღმზრდელს, პერსონალურად აქვს მიწოდებული.

ვინაიდან „კურიკულუმის“ დანერგვის და განხორციელების პროცესი დროში მიმდინარე დიდ ძალისხმევას მოითხოვს, განათლების სამინისტროს მიერ ჩატარდა ვებინარები და ტრენინგები, ადმინისტრაციული რგოლისათვის, ცალკე გაერთიანების მეთოდისტებისათვის. სისტემატიურად იმართება სამუშაო შეხვედრები საგანმანათლებლო პერსონალთან, როგორც მცირე ჯგუფებთან ასევე ინდივიდუალურად. განსაკუთრებულ რეკომენდაციებს ვუწევთ ახლად დანიშნულ კადრებს.

„კურიკულუმის“ შესაბამისად, ყველა საბავშვო ბაღში, იწერება ერთკვირიანი სამუშაო გეგმები. ბაღებში მოწყობილია შიდა და გარე სივრცეები, თემატური ცენტრები, შეძლებისდაგვარად ვახდენთ საგანმანათლებლო რესურსის მიწოდებას.

მონიტორინგი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტანდარტებით გაერთიანებაში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აწარმოებს გეგმიურ მონიტორინგს გაერთიანების ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე (ჰიგიენა, კვება, საგანმანათლებლო). იქმნება მონიტორინგის აქტი, სადაც აღწერილია დაწესებულების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოსაგვარებელი პრობლემები. ვახდენთ ყველა პრობლემაზე დროულ რეაგირებას.

ჰასპი

ჰასპი წარმოადგენს სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფას. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, მომხმარებელს მიეწოდოს უვნებელი და ჯანსაღი პროდუქტი, თითოეული მათგანის შექმნის პროცესის კონტროლის მეშვეობით.

2025 წელს განხორციელდა ჰასპის დანერგილი დოკუმენტის კორექტირება.

კვების ინდუსტრიაში არსებობს HACCP-ის 7 პრინციპი , რომელიც მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც უზრუნველჰყოფს სურსათის უვნებლობას:

1. საფრთხეების იდენტიფიცირება;
2. კრიტიკული კონტროლის წერტილების განსაზღვრა;
3. კრიტიკული ზღვარი – ტემპერატურის მაქსიმუმი და მინიმუმი;
4. კონტროლის სისტემების მონიტორინგი;
5. მაკორექტირებელი მოქმედებები;
6. გადამოწმების პროცედურები;
7. დოკუმენტაცია და ანგარიშგება.

კვება

ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ ყველა საბავშვო ბაღში დაცულია კვების რაციონის, სანიტარული და ჰიგიენური ნორმები საქართველოს მთავრობის 2017 წლის #487 და #485 დადგენილებების საფუძველზე. შეგახსნებთ, 2024 წელს შევიძინეთ ორი სეზონის მენიუ, შემოდგომა - ზამთარისა და გაზაფხული-ზაფხულის, ღირებულება - 3000 ლარი. დღის განმავლობაში ოთხჯერადი კვებით (საუზმე, წახემსება, სადილი, სამხარი), სადაც გათვლილია ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების რაოდენობა, კალორიულობის სრული დაცვით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კვების ორგანიზების ჰიგიენური ნორმების დაცვას, კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს.

ბიუჯეტი

აღსაზრდელთა სიობრივი რაოდენობა 2025 წლის სექტემბრისთვის იყო 410. გაერთიანებაში ამ პერიოდისათვის დასაქმებულია 323 თანამშრომელი, აქედან 14 შტატგარეშე (ცეცხლფარეში). 2025 წლის დასაწაყისში სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ბიუჯეტი შეადგენდა 3 579 400 ლარს. დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა წლის ბოლოსათვის კი შეადგენდა 3 579 400 ლარს. 2025 წლის ფაქტიურმა ხარჯმა (შესრულებამ) შეადგინა 3 543 527 ლარი. აქედან შრომის ანაზღაურებამ

გაერთიანებაში დასაქმებულ 328 თანამშრომელზე შეადგინა 2 996 027 ლარი, შტატგარეშე (ცეცხლფარეშები) თანამშრომლების ხელფასმა 35 711 ლარი. სულ ორივე მუხლით შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 3 031 738 ლარი, 2025 წლის იანვრიდან გაერთინების ყველა თანამშრომლის შრომის ანაზღაურება გაიზარდა 10%+125 ლარით. 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 3 579 400 ლარით. 2026 წლიდან კვლავ განხორციელდა შრომის ანაზღაურების მატება ხელფასის 10 %-ის ოდენობით.

2026 წლის ბიუჯეტი არის 3 991 100 ლარი. თანამშრომელთა რაოდენობა ამ ეტაპზე გახლავთ 328, აქედან შტატგარეშეა 15. ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება გამოიყურება ასე:

1. ხელფასი შტატით დასაქმებულ თანამშრომლების - 793 768 ლარი;
2. ხელფასი შტატგარეშე თანამშრომლების - 24 654 ლარი;
3. მივლინება - 792 ლარი;
4. საკანცელარიო - 300 ლარი;
5. სანიტარულისა და რეცხვა ქიმწმენდის ხარჯი - 2 279 ლარი;
6. კავშირგაბმულობის ხარჯი - 346 ლარი;
7. კომუნალური ხარჯი - 52 973 ლარი (ელენერგია 15 026 ლარი, წყალი 3 377 ლარი, ბუნებრივი აირი 17 955 ლარი, დიზელი 16 615 ლარი);
8. კვების ხარჯი - 50 721 ლარი;
9. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 846 ლარი (ხაზინის ტეენინგი 150ლ. საჯარო რეესტრის 39 ლარი. ტენდერის გამოცხადების 650 ლარი. არქივის 7 ლარი).

2025 წლის 16 სექტემბრისთვის გაერთიანებაში ფაქტობრივად ირიცხებოდა 410 აღსაზრდელი. საახალწლოდ გავეცით 9 225 ლარის ღირებულების საახალწლო ნობათი, ტკბილეულის სახით ყველა აღსაზრდელზე. დამამთავრებელი ჯგუფის საჩუქარი 3 400 კვებაში გაწეულმა ხარჯმა 2025 წელს შეადგინა 190 422 ლარი.

გაერთიანების საბავშვო ბაღებში სურსათის ეროვნული საგენტოს რეკომენდაციის საფუძველზე ჩატარდა სადეზიფენქციო და სასმელი წყლის ვარგისიანობის ლაბორატორიული კვლევების სამუშაოები. ამასთანავე პერიოდულად, მოთხოვნების შესაბამისად, შეგვაქვს სამედიცინო ხსნარები, სადეზიფენქციო, სანიტარულ-ჰიგიენური და რეცხვა/ქიმწმენდის საშუალებები. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის ღირებულებამ კი 2025 წელს ჯამში 18 338 ლარი შეადგინა. 2025 წელს ,,იმერეთის სახანძრო დაცვის“ მიერ ჩატარდა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება ღირებულება- 1 262 ლარი.

1. საბავშვო ბაღების მოთხოვნების შესაბამისად, განვაახლეთ სამზარეულოს ინვენტარი, შევიძინეთ ჭურჭელი 3 431 ლარით.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შევიძინეთ მწერებისაგან დამცავი ბადეები, ღირებულებით - 2000 ლარი. როგორც მოგეხსენებათ გათბობის სეზონზე 18 საბავშვო ბაღში ვიყენებთ საშეშე მერქანს, 2 საბავშვო ბაღში (ვერტყვიჭალა და საღანძილე) დიზელის საწვავს, დაბა ხარაგაულის N1 და სოფელ კიცხის N2 საბავშვო ბაღებში ბუნებრივ აირს. 2025 წლის განმავლობაში კომუნალურმა ხარჯმა შეადგინა 150 207 ლარი.

2025 წლის განმავლობაში შეძენილი იქნა 1 820 ლარის ნაბეჭდი წიგნები.

აღსანიშნავია, რომ 2007 – 2018 წლების საბუთების საარქივო მომსახურებისათვის ორგანიზაციამ გადაიხადა - 3 199 ლარი.

აღმზრდელების ტრენინგებისათვის 9 775 ლარი.

საანგარიშო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ვებინარი ჩატარდა, მათ შორის:

1. აღმზრდელ- პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ- მოდული;
2. ტრენინგი თამაში - კურიკულუმი;
3. პირველადი სამედიცინო დახმარება (საავტორიზაციო ბაღების თანამშრომელთათვის);
4. რეფერირება (მიმართვიანობა);
5. გარემოსდაცვითი განათლება;
6. პოზიტიური მშობლობა, ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა.

ხარაგაულის ბაღების გაერთიანების სასწავლო პროცესების კოორდინატორის, მიერ, ინტენსიურად ტარდება სემინარები გაერთიანების საგანმანათლებლო პერსონალთათვის:

1. მიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერა საბავშვო ბაღში;
2. სემინარები გაერთიანების საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმრდელები, მუსიკის მასწავლებელი);
3. მულტიდისციპლინარული გუნდის სპეციალისტებთან შეხვედრები;
4. ინდივიდუალური გეგმების განხილვა.

არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯმა შეადგინა 57 892 ლარი, მათ შორის:

1. რეაბილიტირდა დაბა ხარაგაულის N1 საბავშვო ბაღის პირველი კორპუსის სახურავი - ღირებულება 39 442 ლარი;
2. შეძენილი იქნა 10 ერთეული პერსონალური კომპიუტერი - ღირებულება 18 450 ლარი.

გვსურს, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ:

1. ადგილობრივი ხელისუფლების, მერიისა და საკრებულოს მიმართ — მუდმივი მხარდაჭერისა და ბაღების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის;
2. თანამშრომლების მიმართ — დაუღალავი შრომისთვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და გუნდურობისათვის;
3. მშობლების მიმართ — გამოცხადებული ნდობისა და ჩვენი გუნდისადმი ერთგულებისათვის.

რას სთავაზობს თქვენს შვილს ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება?

1. კვება: ჯანსაღი და ნოყიერი რაციონი;
2. გარემო: თანამედროვე ინფრასტრუქტურა და სისუფთავე;
3. განათლება: თამაშზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები;
4. ზრუნვა: პროფესიონალი და მოსიყვარულე პერსონალი.

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ

დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი

თამარ ლაცაბიძე